

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული
ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“
ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის სფეროში (ხელოვნება - თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა), კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო), ფოტოხელოვნება, მოქანდაკეობა (სკულპტურა), ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა), მხატვრობა) შემოსული საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) ავტორთა მხარდაჭერას, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნების განვითარებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

3. ქვეპროგრამის ფარგლებში საუკეთესო პროექტების გამოვლენა, ბენეფიციართა შერჩევა, ხორციელდება კონკურსის წესით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მერის ბრძანებით.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა განისაზღვრება - არაუმეტეს 10 000 ლარისა (თითოეულ პროექტზე). ამასთან, განაცხადები მიიღება ქვეპროგრამით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა, შეზღუდული არაა).

5. პროექტი უნდა განხორციელდეს (დაწყება - დასრულება) შესაბამისი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. ინიციატივები/პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.

7. ქვეპროგრამის განმახორციელებელია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილება.

მუხლი 2. მიზანი

1. ქვეპროგრამის მიზანია ხელოვნების (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა), კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო), ფოტოხელოვნება, მოქანდაკეობა (სკულპტურა), ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა), მხატვრობა) განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ბათუმის, როგორც კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის პოპულარიზაცია, რეკლამირება.

2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს თანაბარი შესაძლებლობებისა და განვითარების პირობების დაწესებას, საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოვლენას, ავტორთა/ბენეფიციართა შერჩევას, მათ მხარდაჭერას, ხელშეწყობას, სტიმულირებას, წახალისებას.

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს (შემდგომში - აპლიკანტი) თუ ის აკმაყოფილებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ პირობებს.
2. აპლიკანტი უფლებამოსილია წარადგინოს არაუმეტეს ორი ინიციატივისა (ორი სხვადასხვა მიმართულებით). ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი პროექტი.
3. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტმა მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - 3.1 შევსებული განაცხადის ფორმა (**დანართი 2**);
 - 3.2 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
 - 3.3 პორტფოლიო (შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 3.4 სარეკომენდაციო წერილი;
 - 3.5 თანადაფინანსების დამადასტურებელი საბუთი. (ნებისმიერი სახით - მატერიალური თუ არამატერიალური / არსებობის შემთხვევაში).
4. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.
5. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადის (ბეჭდური) რეგისტრაცია ხორციელდება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25), ხოლო ელექტრონული ვერსია იგზავნება ელ.ფოსტაზე: **sportidaaxalgazrdoba2018@gmail.com**
6. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.
2. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად), იგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).
3. განყოფილება:
 - 3.1 არეგისტრირებს განაცხადს - შეჰყავს ინფორმაცია საკონკურსო რეესტრში;
 - 3.2 შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს აღნიშნულის შესახებ (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი). ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

- 3.3 თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს;
 - 3.4 ახდენს აპლიკანტის მიერ, პროექტის პირველადი საკვალიფიკაციო შეფასების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტისაგან მოითხოვს დამატებით დოკუმენტაციას, შეფასების დასაბუთების მიზნით (გაზომვადი კრიტერიუმით);
 - 3.5 ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესთან შესაბამისობის თაობაზე.
4. არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ხარვეზების გასწორების თავის არიდების შემთხვევაში, კომისია არ განიხილავს აპლიკანტის განაცხადს.
5. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით. მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის/ავტორის მიერ, თავისი პროექტის წარდგენას (პრეზენტაციის სახით 5-7წთ.).

მუხლი 5. განაცხადების მიღებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

- 1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან - ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა შეზღუდული არაა).
- 2. კომისია, შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აპლიკანტს აცნობებს - განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის - კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია:

- 1.1. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;
- 1.2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;
- 1.3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- 1.4. კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
- 1.5. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.
- 1.6. კომისია ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
- 1.7. კომისია განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს, შეარჩევს ბენეფიციარებს და მერს წარუდგენს რეკომენდაციას;
- 1.8. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

2. კომისიის თავმჯდომარე:

- 2.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევრთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
- 2.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ.

3. კომისიის მდივანი:

3.1. ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას (წინასწარ შემუშავებული ცხრილის მიხედვით), ასევე, აპლიკანტთა მიერ, წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლას/მოკვლევას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

3.2. კომისიას მოახსენებს/გააცნობს განაცხადებს თითოეულ პროექტზე;

3.3. კომისიის წევრთა მიერ, შევსებული შეფასების ცხრილების მიხედვით, ახდენს დაჯამებას, საბოლოო შედეგების გამოსავლენად;

3.4. ამზადებს კომისიის რეკომენდაციას და წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს;

3.5. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

3.6. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, ექსპერტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობენ.

4. კომისიის წევრი - შეისწავლის განაცხადს, ახდენს შეფასებას და წარადგენს/გამოთქვამს თავის მოსაზრებებს.

5. კომისიის მიერ განაცხადების განხილვის შემდეგ, სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს, საბოლოო შედეგებთან მიმართებაში.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტთა შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. **პრიორიტეტულობა** (მნიშვნელოვანია, აუცილებელია, საჭიროა... სახელმწიფოებრივი, რეგიონალური, თვითმმართველობის, დარგის, სფეროს, პროფილის განვითარების თუ აღორძინების (ეროვნული, ტრადიციული, უნიკალური...) თვალსაზრისით);

1.1 პრიორიტეტული - 8 -10 ქულა;

1.2 საშუალოდ - 5 - 7 ქულა;

1.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

2. **აქტუალობა** (რამდენად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, დარგის / სფეროს / პროფილის განვითარების მოთხოვნილებებს, თუ საზოგადოების ინტერესს. რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე და რამდენად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის რეალური პრობლემების დაძლევას):

2.1 აქტუალური - 8 – 10 ქულა;

2.2 საშუალოდ - 5 - 7 ქულა;

2.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

3. ინოვაციურობა (ექსკლუზიურობა, კრეატიულობა, სიახლე, ნოვატორობა...):

- 3.1 ინოვაციური - 8 -10 ქულა;
- 3.2 საშუალოდ ინოვაციური - 6 - 7 ქულა;
- 3.3 ნაკლებ ინოვაციური - 5 ქულამდე.

4. მიზნიდევლობა, სანახაობითობა, ინტერესი (კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ქალაქის პოპულარიზაციის და რეკლამირების შესაძლებლობები. მიზანი/ინტერესი - გაზარდოს ბათუმის, როგორც კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით):

- 4.1 მაღალი ინტერესი - 8 -10 ქულა;
- 4.2 საშუალო - 6 - 7 ქულა;
- 4.3 არასაკმარისად - 5 ქულამდე.

5. მდგრადობა (რამდენად შესაძლებელია პროექტის ან მისი კომპონენტების გამეორება, განვრცობა უფრო დიდი მასშტაბით – პროექტის პილოტური ხასიათი...)

- 5.1 მაღალი მდგრადობა - 8 -10 ქულა;
- 5.2 საშუალო - 5 - 7 ქულა;
- 5.3 არასაკმარისად - 5 ქულამდე.

6. ხარჯების ეფექტურობა (პროდუქტიულობა / დივიდენდურობა. არსებული ფინანსური რესურსით, მაქსიმალური შედეგის მიღწევა, რაც გულისხმობს შესაბამისი ხარისხის, რაოდენობისა და დროულობის გათვალისწინებით, გამოყენებულ რესურსებსა და საბოლოო პროდუქტს შორის თანაზომიერებას...):

- 6.1 მაღალპროდუქტიული - 8 -10 ქულა;
- 6.2 საშუალოდ - 6 - 7 ქულა;
- 6.3 არასაკმარისად - 5 ქულამდე.

7. PR კომუნიკაცია (რეკლამირების ხარისხი, პოპულარიზაციის დონე, მასობრივი საშუალებებით გაშუქების და პიარტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა, გამოყენებული სოციალური ქსელების რეიტინგულობა და ა.შ., რაც უფრო ნაკლებია და არარეიტინგული დაგეგმილი PR კომპანია, მით უფრო ნაკლებია ქულა);

- 7.1 მაღალი ხარისხი/დონე - 8 -10 ქულა;
- 7.2 საშუალო - 6 - 7 ქულა;
- 7.3 არასაკმარისად - 5 ქულამდე.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული პროექტის მიხედვით, კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. საბოლოო შედეგები - კომისიის რეკომენდაცია აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც

ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი და წარედგინება მერს.

3. რეკომენდაცია გაეწევა იმ აპლიკანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

4. თუ მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტი მიიღო რამდენიმე პროექტმა და მათი საერთო (ჯამური) თანხა აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებს, დაფინანსების რეკომენდაცია, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, გაეწევა იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვს უფრო მაღალი ქულა ან/და დასაშვებია პროექტის (ების) ავტორთან (ებთან) მოხდეს დაზუსტება, მათ მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან მიმათებაში და საბოლოო შედეგები განისაზღვროს ამ პროცედურის გავლის შემდეგ კორექტირებული თანხების ოდენობით, აპლიკანტის წერილის საფუძველზე.

5. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია. ამასთან, პრიორიტეტი მიენიჭება:

5.1 ექსკლუზიურ, ინოვაციურ, კრეატიულ, აქტუალურ და ანალიტიკურ პროექტებს. შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეებისა და ხელოვნების ახალი სახეობების მხარდაჭერას. პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურის სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიის, მიდგომების და ტენდენციების განხორციელებას, ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე ტრადიციული ხელოვნების და კულტურული მემკვიდრეობის დღევანდელობასთან ადაპტირებას თანამედროვე შემოქმედებისა და ახალი ტექნოლოგიების საშუალებით;

5.2 თანადაფინანსების მქონე პროექტებს (რომელთაც გააჩნიათ უფრო მეტად საკუთარი სახსრებით დაფინანსება და ნაკლებად მერიიდან).

6. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

7. ტექნიკური შესაძლებლობების არსებობისა და კომისიის თავმჯდომარის თანხმობით, პროცესის გამჭვირვალების, მოქალაქეთა მონაწილეობის, თანამშრომლობის და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია, შემოღებულ იქნეს ხმის მიცემის / გამოკითხვის ელექტრონული წესი. ამ შემთხვევაში, საბოლოო შედეგები განისაზღვრება შემდეგნაირად - თითოეულ წარდგენილ პროექტზე ელექტრონული გამოკითხვის წესით მიღებული შედეგები - საბოლოო პროცენტული მაჩვენებელი (თუ პროცენტებშია) გადაიყვანება იგივე, ოღონდ, რიცხობრივ მაჩვენებელში (მაგალითად 38%=38ქულას ან 41.5%=41.5ქულას) და დაემატება კომისიის თითოეული წევრის მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების (თითოეულ პროექტზე) ჯამურ ქულას (როგორც ორწევრიანი განტოლება).

მუხლი 9. პროექტის ავტორთან/ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმება/დაფინანსება

1. კომისიის რეკომენდაცია, სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წარედგინება მერს.

2. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებული აპლიკანტის/ავტორის (შემდგომში - ბენეფიციარი) დაფინანსების თაობაზე.

3. ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე, წერილობით ეცნობება ბენეფიციარს მერის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამსახური, მერის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებს ბენეფიციართან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს, რომელსაც საქმისწარმოების წესით (Edokument), მოხსენებითი ბარათის ფორმატში (ვიზირებაში: მერიის ადმინისტრაცია და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური), წარუდგენს მერს ან კურატორ - მერის მოადგილეს.

5. ბენეფიციარის დაფინანსების შესახებ, მერის მიერ ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სამსახურის მიერ განმცხადებელს ეცნობება, რომ ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდეს შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულება დაიდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარს (ან უფლებამოსილი წარმომადგენელი) შორის.

მუხლი 10. ბენეფიციარის ვალდებულებანი

1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია, სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2. ბენეფიციარმა პროექტი უნდა განახორციელოს საანგარიშო წლის განმავლობაში.

3. კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარი ვალდებულია, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, 15 დღის ვადაში, წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები (დანართების 3) და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა), რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.

4. მერია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარის დაფინანსება, დებულებით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. ქვეპროგრამის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფა

1. პირველ კვარტალში ქვეპროგრამის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, წლის დასაწყისში (იანვარი/თებერვალი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცებამდე, ახალი საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში ჩასატარებელი პროექტების/ბენეფიციარების შერჩევა, ასევე, შეიძლება განხორციელდეს ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იურიდიული პირების განაცხადის საფუძველზე, აღნიშნული დებულებით განსაზღვრული პირობების

შესაბამისად, მიმდინარე საბიუჯეტო წლის შემოდგომაზე, ხოლო უშუალოდ დამტკიცებული პროექტების განხორციელება გათვალისწინებულია, მომდევნო საბიუჯეტო წლის პირველი კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში.

2. განაცხადების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის პირველი სამუშაო დღიდან, ნოემბრის თვის პირველი 15 სამუშაო დღის ჩათვლით.

3. კომისია, შემოსულ განაცხადებს განიხილავს მიმდინარე წლის დეკემბრის თვის 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ პროექტში გათვალისწინებისა და ასიგნებების მოცულობის თაობაზე.

5. ინფორმაცია დაფინანსების შესახებ, ბენეფიციარს ეცნობება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტის დამტკიცების (ქვეპროგრამა „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში) შემდეგ, მისი ძალაში შესვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.